

ი.მ. ტრისტან სიჭინავა

აუდიტორული, საბუღალტრო,
საკონსულტაციო მომსახურება.

დამოუკიდებელი აუდიტორი



საქართველოს პარლამენტთან არსებული
აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ
გაცემული

სერტიფიკატი №6/102

აუდიტორული დასკვნა №2/11

**შპს „ფოთი ტვ“-ს 2017 საფინანსო-
სამეურნეო წლის საქმიანობაზე**

სამართლებლივი ფორმა: კერძო საკუთრება

მისამართი: ქალაქი ფოთი. წმ. გიორგის 16

საქმიანობის სახე: რადიომაუწყებლობა

საიდენტიფიკაციო კოდი: 215083291

დირექტორი: გოდერძი ქართველიშვილი

26 აპრილი 2018 წელი

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის მიერ გაცემული სერტიფიკატის საფუძველზე, რომელიც უფლებას გვაძლევს აუდიტორულ მომსახურებაზე ზოგად აუდიტში, დამკვეთის მოთხოვნით სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე შევადგინეთ აუდიტორული დასკვნა.

აუდიტორული დასკვნა მოიცავს, 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. განხილულ იქნა მოცემული პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის, მარაგების, დებიტორ - კრედიტორების, მოგება- ზარალის ანგარიშგების აუდიტი. წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების დირექტორს. ჩვენ გვევალება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ შესაბამისი დასკვნა.

აუდიტი წარიმართა აუდიტის სტანდარტების შესაბამისად. აუდიტის სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმდაგვარ დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა ანგარიშგება არსებით უზუსტობას. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულების შემოწმებას, ტესტირების საფუძველზე ანგარიშგებაში ასახული თანხების დადასტურების მიზნით. აუდიტი ასევე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა რომ ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტი

დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად: როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ფინანსური საქმიანობის ანალიზი მოიცავს ერთ კალენდარულ წელს.

ჩვენი აზრით ანგარიშგება, რომელიც თან დაერთვის დასკვნას, უტყუარია და არსებით აქსპექტში ასახავს შპს „ფოთი ტვ“-ს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მდგომარეობას და ასევე საფინანსო შედეგებს 2017 წლის მდგომარეობით.

საფინანსო-ეკონომიკური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, აგრეთვე იმ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნის შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ საქართველოში ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებას.

ი.მ ტრისტან სიჭინავა- დამოუკიდებელი, სერთიფიცირებული აუდიტორი

ტრისტან სიჭინავა

